წერითი გამოცდის (კაზუსების ამოხსნა) შეფასების კრიტერიუმები

1. სისხლის სამართლის მიმართულება

სისხლის სამართლის მიმართულებით კონკურსანტს ამოსახსნელად გადაეცემა ერთი კაზუსი, რომელიც შედგენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებზე. თითოეული კაზუსი მოიცავს 4 კითხვას. თითოეული საკითხი ფასდება მაქსიმუმ 2 ქულით, თითოეული კაზუსის ამოხსნის მაქსიმალური შეფასებაა 8 ქულა, გამოცდის ხანგრძლივობა შეადგენს 3 საათს.

2. სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით კონკურსანტს ამოსახსნელად გადაეცემათ ორი კაზუსი. ერთი მათგანი მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებს, ხოლო მეორე - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებს. თითოეული კაზუსი მოიცავს 4 კითხვას. თითოეული საკითხი ფასდება მაქსიმუმ 2 ქულით, თითოეული კაზუსის ამოხსნის მაქსიმალური შეფასებაა 8 ქულა, წერითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 16 ქულა. გამოცდის ხანგრძლივობა შეადგენს 3,5 საათს.

შეფასების კრიტერიუმები:

1. 2.0 ქულა _ პასუხი სრულია, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, ტერმინოლოგია დაცულია, კონკურსანტი ზედმიწევნით კარგად ფლობს საკითხს, შეცდომები არ არის, კაზუსი უნაკლოდ არის ამოხსნილი, მსჯელობა მაღალ დონეზეა;

2. 1.0 ქულა _ პასუხი სწორია, თუმცა შეკვეცილი, არსებითად შეცდომა არ არის. მსჯელობა კარგია

3. 0.5 ქულა _ პასუხი არასრულია, მსჯელობა ფრაგმენტულია;

4. 0 _ პასუხი არსებითად მცდარია ან საერთოდ არ არის მოცემული.